პროგრამის აღწერა	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 14 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 330-ზე მეტი ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. ბავა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 183 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღის მომსახურებით, შესაბამისი სააღმზრდელო პროცესით. სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის.</p> <p>პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		38.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	განათლების, კულტურის, მეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები განათლების სფეროს წარმომადგენელთათვის (აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე, პედაგოგი, საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, მოსწავლე) საპატიო წოდებების მინიჭებას და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემას. კერძოდ, პედაგოგებს და აღმზრდელებს მიენიჭებათ საპატიო წოდებები და გადაეცემათ ფულადი ჯილდოები. ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებს და 100%-იანი სასწავლო გრანტის მომპოვებლებს გადაეცემათ ფულადი ჯილდოები. წარჩინებულ მოსწავლეებს გადაეცემათ პორტაბელური კომპიუტერები.</p> <p>პროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სტუდენტთათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან - 65001 ქულამდე) სწავლის საფასურის ანაზღაურებას. კერძოდ, პირველი კურსის სტუდენტები (სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან - 65001 ქულამდე), რომელთაც საჯარო სკოლა დაამთავრეს დაფინანსდებიან 2000 ლარის ფარგლებში.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის განხორციელება:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელს შეუწყობს განათლების სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების ზრდას, გაზრდის მათ მოტივაციას. - პირველი კურსის სტუდენტებს, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, დაეხმარება უმაღლესი განათლების მიღებაში. 		



პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		143,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ხორციელდება ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის“ ბაზაზე. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საგნობრივი და კულტურულ-შემეცნებითი მიმართულებები. 2020 წლის მონაცემებით ცენტრში შესაბამის განათლებას იღებს საშუალოდ 250 მოსწავლე. მათ შორის, საგნობრივ მიმართულებებზე 120 და კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებში 130 მოსწავლე. ცენტრში დასაქმებულია 25 შტატისანი და 6 შტატგარეშე თანამშრომელი.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და მოზარდთა შესაძლებლობების შესაბამისი გარემოს შექმნა. პროფილური/საგნობრივი წრეების ხელშეწყობა და მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 05		221,9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საფინანსო სამსახური		
პროგრამის აღწერა	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება დელეგირების თაობაზე გაფორმებული ტიპური ხელშეკრულების შესაბამისად.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1602,3 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 796,5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	877,4
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	679,2
05 01 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა	275,0
05 01 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი	161,0
05 01 01 03	ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი	110,0
05 01 01 04	ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ რაჭა „	133,2



05 01 02	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	198,2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	896,1
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	738,0
05 02 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრი	516,5
05 02 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა	92,0
05 02 01 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საადმინისტრაციო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	62,0
05 02 01 04	ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	67,5
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	40,0
05 02 05	გაზეთის მომსახურების დაფინანსება	13,0
05 02 06	ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი	105,1
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	23,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		679,2
პროგრამის განმახორციელებელი	<p>ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“; ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი““; ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“; ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა““.</p>		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 სპორტული სკოლა, ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“; - ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი““; - ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“; - ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა““. <p>სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 6 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი, ჭადრაკი, რაგბი, კარატე, მაგიდის ჩოგბურთი და ფრენბურთი. სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლება 212 ბავშვი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.</p> <p>ჭიდაობის კლუბ ფალავანში ფუნქციონირებს 3 ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჭაბუკები, ჭაბუკები და ახალგაზრდები). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 82 ბავშვი. კლუბის აღსაზრდელები მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეგიონალურ და საერთაშორისო ტურნირებში. წლის განმავლობაში კლუბი უზრუნველყოფს 2 ტურნირის ჩატარებას (რაჭის ღია პირველობა და გურამ საღარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი).</p> <p>ამბროლაურის საცურაო აუზით სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 6 წლის ასაკიდან. წლის განმავლობაში აუზით სარგებლობს დაახლოებით 700 ადამიანი. მათ შორის, საბონენტო მომსახურებით სარგებლობს 350 ადამიანი, შეღავათიანი ტარიფით სკოლის მოსწავლეებისათვის 250 სკოლის ასაკის მოზარდი და დაახლოებით 100 ერთჯერადი შემომსვლელი. აუზს გააჩნია 25 მეტრიანი 4 ბილიკიანი აუზი. ასევე აშენდა და 2020 წლიდან ექსპლუატაციაში შევა ღია აუზი.</p> <p>საფეხბურთო კლუბ რაჭაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 5 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 90 ბავშვი. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს რეგიონალურ ტურნირებში.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. <p>მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.</p>		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლის“ ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		275,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 6 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი (50 ბავშვი); ჯადრაკი (42 ბავშვი); რაგბი (32 ბავშვი); კარატე (24 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (39 ბავშვი) და ფრენბურთი (25 ბავშვი). სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლება 212 ბავშვი. სკოლაში სამწვრთნელო პროცესი, დასვენების დღეების გარდა, მიმდინარეობს ყოველდღიურად. სასპორტო სკოლაში დასაქმებულია ჯამში 44 ადამიანი, მათ შორის, 29 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 15 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბ ფალავანი“ ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 02		161,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი“. გამოყოფილი თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ჭიდაობის განვითარებას. კლუბში ფუნქციონირებს 3 ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჭაბუკები, ჭაბუკები და ახალგაზრდები). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 82 ბავშვი. კლუბში ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. კლუბის აღსაზრდელები მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეგიონალურ და საერთაშორისო ტურნირებში. წლის განმავლობაში კლუბი უზრუნველყოფს 2 ტურნირის ჩატარებას (რაჭის ღია პირველობა და გურამ სადარამის სახელობის საერთაშორისო ტურნირი). ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივიღებები და სხვა ხარჯები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობა და საპრიზო ადგილების დაკავება; - მეტი მოზარდის ჩართვა ჭიდაობაში; მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ჭიდაობით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზის“ ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		110,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“. აუზით სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 6 წლის ასაკიდან. წლის განმავლობაში აუზით სარგებლობს დაახლოებით 700 ადამიანი. მათ შორის, საბონეტო მომსახურებით სარგებლობს 350 ადამიანი, შეღავათიანი ტარიფით სკოლის მოსწავლეებისათვის 250 სკოლის ასაკის მოზარდი და დაახლოებით 100 ერთჯერადი შემოსვლელი. საცურაო აუზი მომხმარებლებს, ასევე სთავაზობს მასაჟის მომსახურებასაც. აუზს გააჩნია 25 მეტრის 4 ბილიკიანი აუზი. ასევე აშენდა და მომავალ წლიდან ექსპლუატაციაში შევა ღია აუზი. ა(ა)იპ-ში დასაქმებულია 16 ადამიანი, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე ტექნიკურ პერსონალს.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდების და მოქალაქეების ფიზიკური გაჯანსაღება; 6 წლის ასაკიდან ყველა მოქალაქის მაქსიმალური ჩართულობა ცურვის შესწავლა-დაოსტატებში; მოქალაქეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, მათში ცურვისადმი ინტერესის გაზრდის მიზნით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე აუზით მომსახურეთა გაზრდილი რაოდენობა.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ რაჭა“ ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		133,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა“. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. კლუბში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 5 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 90 ბავშვი. კლუბში საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს რეგიონალურ ტურნირებში. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივლინებების, გუნდების ეკვიპირების და სხვა ხარჯები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას ფეხბურთში; მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		198,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, დაფინანსდება სოფელ ურავში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა: ქალაქ ამბროლაურში გამსახურდიას ქუჩაზე-აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფლებში: ხიმში და ურავში.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		738,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“; ა(ა)იპ „ამბროლაურის დავით თორაძის სამუსიკო სკოლა“; ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“; ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.		
	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედეგადად 4 ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება 4 მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ესენია: ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“; ა(ა)იპ „ამბროლაურის დავით თორაძის სამუსიკო სკოლა“; ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“; ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და ფინანსდება სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და მოსწავლეთა თეატრი, 29 ბიბლიოთეკა, 1 მუზეუმი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის		



პროგრამის აღწერა	<p>სამსახური, საესტრადო მუსიკალური ბენდი "Art New Life", სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იავნანა“.</p> <p>თეატრები წარმოდგენებს მართავენ როგორც ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. ჯაშში მაყურებელთა რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს 5000 კაცს.</p> <p>მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 500-ზე მეტი ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს.</p> <p>მუნიციპალიტეტის 29 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 95800 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2700 მოსახლე.</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლების მონიტორინგს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 103 ძეგლი, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 70-მდე ძეგლს.</p> <p>საესტრადო ჯგუფი, სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იავნანა“ მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ სხვადასხვა კულტურულ და სადღესასწაულო ღონისძიებებში.</p> <p>ა(ა)იპ „ამბროლაურის დავით თორაძის სამუსიკო სკოლის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო განათლების სკოლა. სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია: საფორტეპიანო, ხალხური საკრავების და გიტარის, საესტრადო ვოკალის, საგუნდო და ქართული ხალხური სიმღერების, კლასიკური, თანამედროვე და ქართული ცეკვების მიმართულებები. სამუსიკო სკოლაში სახელოვნებო-სამუსიკო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 230 ბავშვი.</p> <p>ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საადმზრდელი დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა. სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 63 ბავშვი.</p>
პროგრამის აღწერა და მოსალოდნელი შედეგი	<p>კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება, თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა;</p> <p>მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დაინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა;</p> <p>სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა, სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა ჩართულობა გამოყენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 02 01 01	ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“	516,5
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და მოსწავლეთა თეატრი, 29 ბიბლიოთეკა, 1 მუზეუმი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური, საესტრადო მუსიკალური ბენდი "Art New Life", სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იავნანა“.</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლების მონიტორინგს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 103 ძეგლი, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 70-მდე ძეგლს. წლის განმავლობაში სამსახური ახორციელებს ძეგლების მონიტორინგს, ფოტო ფიქსაციას და აწვდის შესაბამის ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს.</p> <p>საესტრადო ჯგუფი, სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იავნანა“ მონაწილეობას ღებულობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ სხვადასხვა კულტურულ და სადღესასწაულო ღონისძიებებში.</p>	
ქვეპროგრამის აღწერა და მოსალოდნელი შედეგი		<p>მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ქვეპროგრამის მიზანია: კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.</p>	



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - „ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		92,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო განათლების სკოლა. სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო (15 მოსწავლე), ხალხური საკრავების და გიტარის (45 მოსწავლე), საესტრადო ვოკალის (40 მოსწავლე), საგუნდო და ქართული ხალხური სიმღერების (30 მოსწავლე), კლასიკური, თანამედროვე და ქართული ცეკვების (100 მოსწავლე) მიმართულებები. სამუსიკო სკოლაში სახელოვნებო სამუსიკო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 230 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 15 თანამშრომელს.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო სკოლის ქვეპროგრამის მიზანია: ფორტეპიანოს, ხალხური საკრავების, საესტრადო სიმღერების, ქართული და თანამედროვე კლასიკური ცეკვების შესწავლა ბავშვებსა და მოზარდებში. მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული, ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. მოსალოდნელი შედეგი: სამუსიკო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის“ ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		62,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა. სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 63 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 12 თანამშრომელს. ქვეპროგრამა ზრუნავს მოზარდთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე და იგი ითვალისწინებს მოზარდი თაობის ინტერესებს, საშუალებას აძლევს მათ აირჩიონ სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნების დარგები: თეკა, ჭრა-კერვა, ტიხრული მინანქარი, ხალიჩა-ფარდაგი, ხატწერა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 04		67,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი მუზეუმი მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 503 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა		



	რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს. მუზეუმში წლის განმავლობაში, მნიშვნელოვან თარიღებზე (იუბილეებზე), ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები და გამოფენები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. მოსახლეობის ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		40,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	განათლების, კულტურის, მეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>კულტურული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა, ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> - სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამა; - საპატიო წოდებების მინიჭების ქვეპროგრამა; <p>სადღესასწაულო ღონისძიებების ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო და სახალხო სადღესასწაულო/კულტურული ღონისძიებების აღნიშვნას, რომელთა ორგანიზებაც ასევე ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის/რეგიონის პოპულარიზაცია/ცნობადობის ამაღლებას, ადგილობრივი არტისტების კულტურული პროდუქტების საზოგადოებისთვის გაცნობას და სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი 3 ღონისძიების დაფინანსება: დამოუკიდებლობის დღისადმი (26 მაისი) მიძღვნილი ღონისძიება; რეგიონული ფოლკლორული ფესტივალი "ფუმეობა" და ახალი წლის ღონისძიება.</p> <p>საპატიო წოდების მინიჭების ქვეპროგრამა ითვალისწინებს 3 სახის წოდების მინიჭების ღონისძიებების დაფინანსებას, ესენია: ამბროლაურის საპატიო მოქალაქის წოდებების მინიჭება; კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდებების მინიჭება და/ან ჯილდოების გადაცემა; ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის წოდების მინიჭება.</p> <p>ამბროლაურის საპატიო მოქალაქის წოდება ენიჭება სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება მუნიციპალიტეტისა და/ან ქვეყნის წინაშე. გააჩნია განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის, ხელოვნების და სხვა მიმართულებით გამორჩეული მიღწევები.</p> <p>კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდების მინიჭების ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს მოღვაწეებისთვის საპატიო წოდებების მინიჭება და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემა.</p> <p>ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის წოდება წლის განმავლობაში მიენიჭება არაუმეტეს 3 აქტიურ და ინიციატორ მოქალაქეს. პროგრამის არსი მდგომარეობს დევიზში: "ჩემი პასუხისმგებლობაა არა მხოლოდ ის, რასაც ვაკეთებ, არამედ ისიც, რომ შემემლო და არ გავაკეთე".</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის სადღესასწაულო და სასიამოვნო გარემოს შექმნა; საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სადღესასწაულო ღონისძიებებში; ნიჭიერი და პერსპექტიული შემოქმედების წარმოჩენა;</p> <p>ღირსეული, ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანების დაფასება, მხარდაჭერა და სტიმულირება.</p> <p>საზოგადოებაში მოხალისეობის იდეის წახალისება, აქტიური და ინიციატორი მოქალაქეების სტიმულირება.</p> <p>განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესის, ასევე, ღონისძიებებზე მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრის“ ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06		105,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრი“. ცენტრი უზრუნველყოფს საინფორმაციო ბაზის შექმნას, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების, მათ შორის სასტუმროების, ტურისტული ლოკაციების, კვების და სხვა ობიექტების შესახებ. ცენტრი ახორციელებს ბაზის მუდმივ განახლებას. ცენტრი ამზადებს და გამოსცემს ტურისტულ-საინფორმაციო ბუკლეტებს და რუკებს, ორგანიზებას უწევს ტურისტულ პრომო კლიპების გადაღებას. ცენტრი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა გამოფენებში, სადაც წარადგენს და პოპულარიზაციას უწევს მუნიციპალურ პროდუქციას და წარმოაჩენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტურისტულ შესაძლებლობებს. ცენტრი პერიოდულად აწყოფს შეხვედრებს ტურისტულ კომპანიებთან, აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შესახებ. „ტურისტული ცენტრი“ შემოსულ ვიზიტორებს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციით.</p>		



ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრი“ დასაქმებულია 11 თანამშრომელი.

ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის მდგრადი განვითარება, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მიზიძველი ტურისტული გარემოს შექმნა ადგილობრივი კულტურული, ეთნოგრაფიული, ეკო-სისტემისა და ბუნებრივი ღირსეისანიშნაობების შენარჩუნებით. ტურისტების მოზიდვა, ადგილობრივი ტურიზმის განვითარება, შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება. ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ტურისტების ნაკადის გაზრდა, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებსა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		23.0

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური: განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. იგი ასევე გულისხმობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქ. ამბროლაურში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა. ტრანსპორტირება განხორციელდება სამ ძირითად მარშრუტზე სასწავლო პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების გადაადგილების უზრუნველსაყოფად.

პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდობისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემა.

პროგრამა შედგება შემდეგი 3 ქვეპროგრამისაგან:

- ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა;
- მასობრივი სპორტული ღონისძიების ორგანიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ქვეპროგრამა;
- მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამა.

ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, სპორტულ ოლიმპიადებისთვის მონაწილეთა ფორმების შექმნას და მათ დაჯილდოებას, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას;

მასობრივი სპორტული ღონისძიების ორგანიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება მართონი, ყველა მონაწილეს გადაეცემათ საიმიჯო მაისური, კეპი, სიგელი. გამარჯვებულებს (პირველ, მე-2 და მე-3 ადგილოსანი ვაჟი და გოგონა, უზუცესი და ნორჩი მონაწილე) დამატებით გადაეცემათ ფულადი პრიზი (100 ლარი);

მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში დამზადდება უფასო მგზავრობის ბარათები; განხორციელდება სატენდერო შესყიდვა ბენეფიციართა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის მიზნით (200-220 ბენეფიციარის ტრანსპორტირება).

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდა; ახალგაზრდობისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება; ახალგაზრდობისთვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის.

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **645,8** ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	645,8
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	326,3
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	64,7
06 01 02	ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია	1,6
06 01 03	ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა	20,0
06 01 04	ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა	140,0
06 01 06	ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	20,0
06 01 07	ქირურგიული ოპერაციების საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა	80,0
06 02	სოციალური დაცვა	319,5
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და საადღგომო სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა	40,0
06 02 02	ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	40,0
06 02 03	მიცვალეზულთა სარიტუალო მომსახურება	0,5
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება	95,5
06 02 05	ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება	20,0
06 02 06	მრავალშვილიან (სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი) ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება	50,0
06 02 07	მარჩენალდაკარგული ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	10,0
06 02 08	უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა	15,0
06 02 09	მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	2,0
06 02 10	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	6,0
06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საშუალო მერქნის შესაძენად ერთჯერადი ფულადი დახმარება	40,0
06 02 12	100 წლისა და 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	0,5
06 02 13	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ბანაკში დასვენების მუნიციპალური ქვეპროგრამა	0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		64.7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“		



პროგრამის აღწერა	<p>თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსამიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრი ძირითადად ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლი); 2. იმუნიზაცია; 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;</p> <p>მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	06 01 03		20,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში ბევრია მედიკამენტების მომხმარებელი ხანგრძლივად მოავადე ადამიანები, რომელთაც მედიკამენტების ღირებულებიდან გამომდინარე, არ აქვთ მათი შეძენის ფინანსური საშუალება.</p> <p>ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) ქვეპროგრამა - ქვეპროგრამით მოსარგებლეა ეპილეფსიით, პარკინსონით, გლავუკომით, ფსორიაზით, პოლიათროზით, პოლიართრიტით, კუნთოვანი დისტროფიით, კრონის, ვილსონის, სისხლის ქრონიკული დაავადებებით (თრომბოციტოპენიური პურპურა), მთავრებით, ციროზით, ინსულტით (მოძრაობის მკვეთრი მოშლა), შაქრიანი დიაბეტით, ფარისებრი ჯირკვლით გამოწვეული დაავადებებით (დიფუზიური ტოქსიკური ჩიყვი, კვანძოვანი ჩიყვი, აუტოიმუნური ტირეოიდიტი, ჰიპოთირეოზი), ბრონქული ასთმით, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებით (ფქოდ) ხანგრძლივად მოავადე სოციალურად დაუცველი პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი თერაპიული მკურნალობის კურსი.</p> <p>დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს (ას ორმოცდაათათასი). პაციენტების მედიკამენტური მკურნალობა დაფინანსდება წლიური 150 (ას ორმოცდაათი) ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე. ბენეფიციარზე გაწეული სამედიცინო მომსახურება - მედიკამენტების ღირებულება ანაზღაურდება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაზე.</p> <p>ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებითი მკურნალობის ქვეპროგრამა - 3500 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე ქვეპროგრამით მოსარგებლეა ფენილკეტონური დაავადების მქონე პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი დიეტოთერაპია, აუცილებელი სპეციალური უცილო პროდუქტების ყოველდღიური მიზმარებით კვების რაციონში.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარის დახმარება ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის; ბენეფიციარის სტაბილური ჯანმრთელობის მდგომარეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა	ათას ლარში
			140,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტში ფიქსირდება ონკოლოგიური ავადმყოფების დიდი რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის მკურნალობა, რაც საკმაოდ ძვირადღირებულია. ქვეპროგრამით მოსარგებლეა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით ესაჭიროება ქირურგიული ოპერაცია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია, ჰორმონოთერაპია, მედიკამენტური მკურნალობა, სამედიცინო კვლევები და სხვა. მოსარგებლე ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით წლიური 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე. მათ შორის, სამედიცინო კვლევები - არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარი; ბენეფიციარზე გაწეული სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია, ჰორმონოთერაპია, მედიკამენტური მკურნალობა, სამედიცინო კვლევები და სხვა) ღირებულება ანაზღაურდება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაზე.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის გაუმჯობესება და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ზრუნვა. სტაბილური ჯანმრთელობის შენარჩუნება; მოსარგებლე ბენეფიციართა შენარჩუნებული და გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ამულატორიულ მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
			20,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური გამოკვლევები ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მიუწვდომელი რჩება, მაშინ როდესაც რიგი დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს; ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100 000-ს (გარდა 0-18 წლამდე ბავშვებისა). ბენეფიციარი დაფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წლიური ლიმიტით არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა (გარდა კორონაროგრაფია/ანგიოგრაფიისა). დაფინანსდება შემდეგი მომსახურებები: ა) კომპიუტერული ტომოგრაფია; ბ) მაგნიტურ-რეზონანსური ტომოგრაფია; გ) კორონაროგრაფია/ანგიოგრაფია - 100%-ით; დ) ელასტოგრაფია; ე) დოპლეროგრაფია. ბენეფიციარზე გაწეული სამედიცინო მომსახურების (კვლევები) ღირებულება ანაზღაურდება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაზე.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მოსახლეობის დროული გამოკვლევა ავადობის გამოსავლენად; დროულად გამოვლენილი ავადობა და სტაბილური ჯანმრთელობის მდგომარეობა.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
			80,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		მოსახლეობის დიდ ნაწილს ხშირ შემთხვევაში ესაჭიროება ოპერაციული მკურნალობა, რომელიც ძვირადღირებულია და არ არის ხელმისაწვდომი, რაც იწვევს მათი ჯანმრთელობის გაუარესებას; ქვეპროგრამით მოსარგებლეა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 150 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტი (გარდა 0-18 წლამდე ბავშვებისა და ბენეფიციარებისა, რომელთაც ჩაუტარდათ მწვავე გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია). მოსარგებლე ფინანსდება, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, წლიური 1000 (ათას) ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე.	



<p>დახმარება ერთჯერადად გაეწევა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირს, რომელთა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულა აღემატება 150 000-ს (ასორმოცდაათი ათასი), ან საერთოდ არ არის რეგისტრირებული აღნიშნულ ბაზაში.</p> <p>მოსარგებლე ფინანსდება, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. ბენეფიციარზე გაწეული სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) ღირებულება ანაზღაურდება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაზე.</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის ოპერაციული ჩარევით განკურნება; ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ჯანმრთელობის გაუმჯობესებული მდგომარეობა.</p>

